

შპს პეის ჯორჯია

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა და
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. ჯგუფი და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. ძირითადი საშუალებები	25
4. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	26
5. საინვესტიციო ქონება	27
6. სხვა გრძელვადიანი აქტივები	29
7. მეკავშირე კომპანია	29
8. ერთობლივად კონტროლირებადი კომპანია	30
9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	31
10. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	31
11. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	32
12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32
13. უმცირესობის წილი	32
14. სესხები	33
15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	37
16. შემოსავალი	37
17. გაყიდვების თვითღირებულება	38
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	38
19. ფინანსური ხარჯი (ნეტო)	39
20. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში	39
21. ფინანსური რისკების მართვა	39
22. კაპიტალის მართვა	45
23. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	45
24. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით	45
25. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	47
26. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	48
27. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	49
მმართველობითი ანგარიში	51
1. ჯგუფი, მისი დამუშნებლები და შვილობილი კომპანიები	51
2. შემოსავლები	53
3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები	54
4. საქმიანობის განვითარების გეგმები	54
5. დასაქმებულთა რაოდენობა	54
6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა	54
7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზი	55
8. ინფორმაციას კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	55
9. ფინანსური რისკები	55
10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	55
11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა	55
12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები	55

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

ვის: შპს “პეის ჯორჯია”-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “პეის ჯორჯიას”-ს და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში ტექსტში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან. *(კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოცემულია აუდიტის დასკვნის შემდეგ 7-49 გვერდზე).*

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ((შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებათა ამსახველი აზრები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-14 შენიშვნაზე - რომელშიც მოცემულია ჯგუფის სესხები და მათთან დაკავშირებული ფინანსური პირობების (კოვენანტების) შესაბამისობის სტატუსის დეტალები. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებებთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მიერ 2025 წლის 30 ივნისით დათარიღებულ მართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებათა ერთად 49 გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე.

გარდა ქვემოთ „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვათაგან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფი პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2025 წლის 30 ივნისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებათან ერთად, 49-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
30 ივნისი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფი პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2025 წლის 30 ივნისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებათან ერთად, 49-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.


ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

30 ივნისი 2025 წ.

თბილისი, საქართველო



შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშ ვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	27,277	23,666
აქტივები გამოყენების უფლებით	4	518	162
საინვესტიციო ქონება	5	169,035	168,287
არამატერიალური აქტივები		11	10
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6	4,126	2,898
ინვესტიცია მეკავშირე კომპანიაში	7	561	1,406
ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად კომპანიაში	8	-	631
სულ გრძელვადიანი აქტივები		201,528	197,060
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	323	194
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	10	19,838	16,116
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები (ნეტო)	11	21,465	22,888
ფული და ფულის ექვივალენტები	12	57,446	70,943
სულ მოკლევადიანი აქტივები		99,072	110,141
სულ აქტივები		300,600	307,201
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		179,218	160,484
სულ კაპიტალი რომელიც მიეკუთვნება ჯგუფის დედა კომპანიის მფლობელებს		179,220	160,486
არამაკონტროლებელი წილი	13	25,402	23,904
სულ საკუთარი კაპიტალი		204,622	184,390
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება გრძელვადიანი ნაწილი	4	440	97
გრძელვადიანი სესხები	14	76,177	88,221
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		76,617	88,318
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები		768	284
მოკლევადიანი სესხები	14	10,506	22,741
საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი ნაწილი	4	114	108
გარანტიის ანარიცხი	15	200	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	7,773	11,360
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,361	34,493
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		300,600	307,201

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 30 ივნისს.

ბნ. ირაკლი თათიშვილი, გენერალური დირექტორი

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი	17	131,898	127,962
გაყიდვების თვითღირებულება	18	(114,733)	(99,999)
საერთო მოგება		17,165	27,963
საიჯარო შემოსავალი	5	17,372	16,627
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	19	(7,863)	(7,583)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	20	(2,527)	(2,424)
სხვა მოგება (ნეტო)		90	72
მეკავშირე კომპანიის მოგების წილი	7	1,626	4,062
ერთობლივად კონტროლირებადი კომპანიის ზარალის წილი	8	(631)	(4,203)
პერიოდის მოგება		25,232	34,514

პერიოდის მოგება	25,232	34,514
------------------------	---------------	---------------

მთლიანი მოგება მისაკუთვნებელი:

– არამაკონტროლებელი წილის მფლობელები	23,734	32,055
– ჯგუფის მფლობელები	1,498	2,459

სრული შემოსავალი	-	-
------------------	---	---

სულ სრული შემოსავალი	25,232	34,514
-----------------------------	---------------	---------------

სულ სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:

– არამაკონტროლებელი წილი	23,734	32,055
– ჯგუფის მფლობელები	1,498	2,459

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
 დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 30 ივნისს.

ბნ. ირაკლი თათიშვილი, გენერალური დირექტორი

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	128,593	147,825
მომწოდებლებისთვის და მომუშავეებისთვის გადახდილი გადასახდები (გარდა მოგების გადასახადისა)	(122,870)	(92,369)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,723	55,456
მიღებული პროცენტი	2,937	1,486
გადახდილი პროცენტი და სესხის მომსახურების საკომისიო	(4,270)	(4,507)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	4,390	52,435
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიღებული დივიდენდი	2,471	4,970
ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეძენა/შემენბელობა (განეტებული უკან დაბრუნებულ დღგ-სთან)	(8,788)	(4,347)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	5	-
აკრედიტივის უზრუნველყოფის მიზნით გახსნილი სპეციალური საბანკო საგარანტიო და სადეპოზიტო სერთიფიკატის ანგარიშზე თანხების გადატანა	(1,403)	(208)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ნეტო ფულადი სახსრები	(7,715)	415
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(4,516)	(3,716)
სესხის ძირითადი თანხის გადახდა	(7,213)	(7,341)
გადახდილი იჯარის ძირი	(127)	(88)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(11,856)	(11,145)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(15,181)	41,705
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	70,943	28,413
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	1,684	825
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	57,446	70,943

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 30 ივნისს.

ბნ. ირაკლი თათიშვილი, გენერალური დირექტორი

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიის მფლობელებს	არამაკონტროლე ბელი წილი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	2	132,429	132,431	21,445	153,876
2023 წლის მოგება	-	32,055	32,055	2,459	34,514
დივიდენდი	-	(4,000)	(4,000)	-	(4,000)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2	160,484	160,486	23,904	184,390
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	2	160,484	160,486	23,904	184,390
2024 წლის მოგება	-	23,734	23,734	1,498	25,232
დივიდენდი	-	(5,000)	(5,000)	-	(5,000)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2	179,218	179,220	25,402	204,622

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 30 ივნისს.

ბნ. ირაკლი თათეიშვილი, გენერალური დირექტორი

შპს "პეის ჯორჯია" კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	27,277	23,666
აქტივები გამოყენების უფლებით	4	518	162
საინვესტიციო ქონება	5	169,035	168,287
არამატერიალური აქტივები		11	10
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6	4,126	2,898
ინვესტიცია მეკავშირე კომპანიაში	7	561	1,406
ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად კომპანიაში	8	-	631
სულ გრძელვადიანი აქტივები		201,528	197,060
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	323	194
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	10	19,838	16,116
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები (ნეტო)	11	21,465	22,888
ფული და ფულის ექვივალენტები	12	57,446	70,943
სულ მოკლევადიანი აქტივები		99,072	110,141
სულ აქტივები		300,600	307,201
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		179,218	160,484
სულ კაპიტალი რომელიც მიეკუთვნება ჯგუფის დედა კომპანიის მფლობელებს		179,220	160,486
არამაკონტროლებელი წილი	13	25,402	23,904
სულ საკუთარი კაპიტალი		204,622	184,390
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება გრძელვადიანი ნაწილი	4	440	97
გრძელვადიანი სესხები	14	76,177	88,221
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		76,617	88,318
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები		768	284
მოკლევადიანი სესხები	14	10,506	22,741
საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი ნაწილი	4	114	108
გარანტიის ანარიცხი	15	200	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	7,773	11,360
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,361	34,493
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		300,600	307,201

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერულ იქნა 2025 წლის 30 ივნისს.

ბნ. ირაკლი თათიშვილი, გენერალური დირექტორი



შპს "პეის ჯორჯია" კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი	17	131,898	127,962
გაყიდვების თვითღირებულება	18	(114,733)	(99,999)
საერთო მოგება		17,165	27,963
საიჯარო შემოსავალი	5	17,372	16,627
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	19	(7,863)	(7,583)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	20	(2,527)	(2,424)
სხვა მოგება (ნეტო)		90	72
მეკავშირე კომპანიის მოგების წილი	7	1,626	4,062
ერთობლივად კონტროლირებადი კომპანიის ზარალის წილი	8	(631)	(4,203)
პერიოდის მოგება		25,232	34,514
პერიოდის მოგება		25,232	34,514
მთლიანი მოგება მისაკუთვნიებული:			
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		23,734	32,055
- ჯგუფის მფლობელები		1,498	2,459
სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		25,232	34,514
სულ სრული შემოსავალი მისაკუთვნიებული:			
- არამაკონტროლებელი წილი		23,734	32,055
- ჯგუფის მფლობელები		1,498	2,459

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 30 ივნისს.

ბნ. ირაკლი თათეიშვილი, გენერალური დირექტორი



შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	128,593	147,825
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი გადასახდელები (გარდა მოგების გადასახადისა)	(122,870)	(92,369)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,723	55,456
მიღებული პროცენტი	2,937	1,486
გადახდილი პროცენტი და სესხის მომსახურების საკომისიო	(4,270)	(4,507)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	4,390	52,435
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიღებული დივიდენდი	2,471	4,970
ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეძენა/შემენბოლა (განეტებული უკან დაბრუნებულ დღგ.-სთან)	(8,788)	(4,347)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	5	-
აკრედიტის უზრუნველყოფის მიზნით გახსნილი სპეციალური საბანკო საგარანტიო და სადეპოზიტო სერთიფიკატის ანგარიშზე თანხების გადატანა	(1,403)	(208)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ნეტო ფულადი სახსრები	(7,715)	415
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(4,516)	(3,716)
სესხის ძირითადი თანხის გადახდა	(7,213)	(7,341)
გადახდილი იჯარის ძირი	(127)	(88)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(11,856)	(11,145)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(15,181)	41,705
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	70,943	28,413
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	1,684	825
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	57,446	70,943

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 30 ივნისს.

ბნ. ირაკლი თათეიშვილი, გენერალური დირექტორი




შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიის მფლობელებს	არამაკონტროლე ბელი წილი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	2	132,429	132,431	21,445	153,876
2023 წლის მოგება	-	32,055	32,055	2,459	34,514
დივიდენდი	-	(4,000)	(4,000)	-	(4,000)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2	160,484	160,486	23,904	184,390
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	2	160,484	160,486	23,904	184,390
2024 წლის მოგება	-	23,734	23,734	1,498	25,232
დივიდენდი	-	(5,000)	(5,000)	-	(5,000)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2	179,218	179,220	25,402	204,622

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
 დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 30 ივნისს.

ბნ. ირაკლი თათეიშვილი, გენერალური დირექტორი



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „პეის ჯორჯია“ (კომპანია) დაარსდა 1993 წლის 23 აგვისტოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 204413759). კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ტელეგრაფის ჩიხი, №4. კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის (ერთად ჯგუფი) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტვირთების გადაზიდვა, ფოთის პორტში ტვირთის ინსპექტირება, ჩატვირთვა/გადმოტვირთვის მომსახურება, პორტის სახით ოპერირება, გემების აგენტობა და ა. შ.. ჯგუფში შემავალი კომპანიების დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნაში 2.3.

ჯგუფის მფლობელების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

მფლობელის დასახელება	ფლობა 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	ფლობა 2023 წლის 31 დეკემბრისათვის
ირაკლი კერვალიშვილი (საქართველოს მოქალაქე, ID# 01008002113)	38 %	38 %
ლაურა ლარიონი (საქართველოს მოქალაქე, ID # 01009001424)	38 %	38 %
თეიმურაზ კერვალიშვილი (საქართველოს მოქალაქე, ID# 35001015358)	10 %	10 %
ირაკლი თათეიშვილი (საქართველოს მოქალაქე, ID # 01026000580)	10 %	10 %
თამაზ კაპანაძე (საქართველოს მოქალაქე, ID # 01009005253)	4 %	4 %

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი.

2.2 ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა ჯგუფისთვის 2024 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მათ დანერგვას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებების შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს გავლენას, ვალდებულების ვადიანობის მიხედვით, კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე, მაშინ

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შესაბამისობა ახდენს გავლენას მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის კლასიფიკაციაზე, იმის მიუხედავად, რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ, 12 თვის პერიოდში, მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა-განმარტების წარდგენას. ახსნა-განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებსა და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება, დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად, ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიშნებები არსებობს, თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილება განსაზღვრავს გამყიდველი მოიჯარის მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა-განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა-განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი, რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახადელი თანხების ზღვარი და ვადიანობა, რომლებიც დაკავშირებულია SFA - სთან და შესადარისი სავაჭრო ვალდებულება, რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.

SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამის ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან, პირველადი დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

ფასს-ების ინტერპრეტაციის კომიტეტმა გამოსცა გარკვეული გადაწყვეტილებები რომლებიც მნიშვნელოვანია 2024 ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, თუმცა მათ დანერგვას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

თარიღებს საბჭოს ვებ გვერდის მიხედვით:

გამოცემის თარიღი	საკითხი
2024 წლის იანვარი	დედა კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის გაერთიანება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბასს 27)
2024 წლის აპრილი	დასაქმების გაგრძელებაზე დამოკიდებული გადახდები გადაცემის პერიოდში (ფასს 3)
2024 წლის აპრილი	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (ბასს 37)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი:

ჯგუფმა ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან). 2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დაამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები – ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან). 2024 წლის 30 მაისს IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მიზნობრივი ცვლილებები, რათა უპასუხოს პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამონაკლისით, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას.
- დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
- ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
- განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.

მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად შეესაბამება ფინანსურ ინსტიტუტებს, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ყველა საწარმოსათვის რელევანტურია.

ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). ახალი სტანდარტი ანაცვლებს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას
- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოდგენილია კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (მენეჯმენტით განსაზღვრული შესრულების ზომები).
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ:

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2.3 კონსოლიდაცია

(ა) შვილობილი კომპანიები

შვილობილი არის ყველა კომპანია რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს. შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	წილობრივი ფლობის %	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგური (სახელის ცვლილებამდე შპს პეის ტერმინალი)	14/08/2015	14/08/2015	75%	ფოთის პორტის მახლობლად საწყობისა და პორტის ოპერირება	საქართველო
შპს პეის საზღვაო სააგენტო	24/09/2001	24/09/2001	100 %	გემების აგენტირება	საქართველო
შპს პეის ტრანსი	09/02/2016	09/02/2016	100 %	ტვირთების გადაზიდვა	საქართველო
შპს სარფის საბაჟო ბროკერი	01/06/2001	01/06/2001	100 %	არაქტიური	საქართველო
შპს პეის ბათუმი	01/06/2001	01/06/2001	100 %	არაქტიური	საქართველო
შპს პეტრანსი	08/07/2008	08/07/2008	100 %	არაქტიური	საქართველო
შპს პორტლენდი	11/01/2011	15/07/2022	100 %	მიწის ნაკვეთის მფლობელი ფოთის პორტის მახლობლად	საქართველო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ ერთობლივად ფლობილ კომპანიებს:

კომპანიის დასახელება	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	წილობრივი ფლობის %	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს ტრანსფორდი	23/08/2010	23/08/2010	75%	ტვირთების გადაზიდვის მომსახურება ფოთის პორტში	საქართველო

2017 დეკემბერში კომპანიამ გაზარდა თავისი წილი შპს ტრანსფორდში 50%-დან 75%-მდე. შპს ტრანსფორდის წესდებით კომპანიის დამფუძნებლებს აქვთ თანაბარი უფლებები კომპანიის მართვისას, რის გამოც შპს ტრანსფორდი არ არის განხილული როგორც კომპანიის შვილობილი კომპანია, არამედ როგორც ერთობლივად ფლობილი კომპანია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ტრანსფორდი ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	ფლობა	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს ბი ენდ პი	03/19/2003	12/15/2012	80 %	ფოთის ტერმინალების ტერიტორიაზე ჩატვირთვა/გადმოტვირთვა	საქართველო
შპს მეტალექს ტრანსი	02/24/2011	09/07/2011	52.5 %	ფოთის ტერმინალების ტერიტორიაზე ჩატვირთვა/გადმოტვირთვა	საქართველო
შპს მეტალექს +	06/01/2011	06/01/2011	52.5 %	არაქტიური	საქართველო
შპს ფოთის გემთსაშენი	02/10/2006	04/10/2013	100%	გემების მშენებლობა რემონტი/ არაქტიური	საქართველო

**შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ მეკავშირე კომპანიებს:

კომპანიის დასახელება	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	ფლობა	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაცი- ის ქვეყანა
შპს ზიმ ინთეგრირირებული შიფინგ სერვისის ჯორჯია	18/08/2007	18/08/2007	49 %	ტვირთვების გადაზიდვის მომსახურება	საქართველო
შპს ჯორჯიან ფერი	25/06/2013	04/10/2013	30 %	არააქტიური	საქართველო

ა) შვილობილი კომპანიები

შვილობილი არის ყველა კომპანია რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს. შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან.

სრულად ელიმინირებულია ყველა შიდა ჯგუფური ტრანზაქცია, ბალანსები და ჯგუფის შიგნით ტრანზაქციიდან მიღებული არარეალიზებული მოგება, ასევე ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ მოიცავს მტკიცებულებას რომ გადაცემული აქტივი გაუფასურებულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების საბუღალტრო პოლიტიკა შეიცვალა ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად.

საწარმოთა გაერთიანება აღრიცხულია შემენის მეთოდით ფასს 3-ის შესაბამისად. შემენის ღირებულება განისაზღვრება გადაცემული პირობითი და არაპირობითი საზღაურის სამართლიანი ღირებულებით. საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული იდენტიფიცირებული შემენილი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია შემენის თარიღისათვის სამართლიანი ღირებულებით. არამაკონტროლებელ წილს აღიარება ხდება ცალკეული შვილობილი კომპანიების მიხედვით, შემენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივების პროპორციული მეთოდით. შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარებულია როგორც პერიოდის ხარჯი. ნაწილობრივი შესყიდვისას ადრე შესყიდული კაპიტალის წილის სამართლიანი ღირებულების და არაკონტროლირებული წილის ღირებულების გადამეტება იდენტიფიცირებულ ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაზე აღიარდება გუდვილის სახით.

გუდვილის თავდაპირველი განსაზღვრა ხდება ღირებულებით, რომელიც გამოითვლება ჯგუფის მიერ შესყიდული იდენტიფიცირებადი ნეტო აქტივებისა, განსაზღვრული ვალდებულებებისა და გადაცემული კომპენსაციის შორის სხვაობით. თუ გადაცემული კომპენსაცია დაბალია შესყიდული შვილობილი კომპანიის ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, მაშინ ამ სხვაობის აღიარება მოხდება მოგება/ზარალში. პირველადი აღიარების შემდეგ, გუდვილი აღირიცხება მის ღირებულებას დაკლებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალით. გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის, ბიზნეს კომბინაციის შედეგად მიღებული გუდვილი, შესყიდვის თარიღიდან, რომელიც გადანაწილებულია ჯგუფში არსებულ ყველა ფულის მაგენერირებელ ერთეულზე, რომლებზეც არის მოლოდინი, რომ სარგებლობას მიიღებენ ბიზნეს კომბინაციით, იმ გარემოების გაუთვალისწინებლად თუ შესასყიდი ობიექტის სხვა აქტივები და ვალდებულებები არ მიეკუთვნება ამ ერთეულებს.

როდესაც გუდვილი დაკავშირებულია ფულის მაგენერირებელ ერთეულთან და ეს ერთეული იყიდება ნაწილობრივ მაშინ გუდვილის ის ნაწილი რომელიც დაკავშირებულია გაყიდულ ნაწილთან ჩამოიწერება პროპორციულად გაყიდვის შედეგის გაანგარიშებისას.

ბ) ერთობლივად კონტროლირებადი კომპანიები

ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო არის ისეთი საწარმო რომელთა დამუშენებლებს შორის არსებობს კონტრაქტუალური გარიგება საწარმოს ერთობლივ მართვაზე. ერთობლივად მართული კომპანიები აღირიცხება კაპიტალ მეთოდით.

კაპიტალ მეთოდის მიხედვით თავდაპირველი ინვესტიცია აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ინვესტიციის ღირებულება იცვლება შესყიდვის შემდეგ საწარმოს მოგებასა და მთლიან მოგებაში წილის აღიარების საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ ზარალის წილი აჭარბებს ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ჯგუფი არ აღიარებს დამატებით ზარალებს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არსებობს ამის იურიდიული ვალდებულება. იმ შემთხვევაში როდესაც მიღებული დივიდენდი აჭარბებს ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ინვესტიცია განუღდება და ნარჩენი თანხა აღიარდება პერიოდის მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

შიდა ჯგუფური ოპერაციების არარეალიზირებული მოგება ზარალი ელიმინირდება ჯგუფის წილის პროპორციულად. არარეალიზებული ზარალი ასევე ელიმინირდება და თუ არ არსებობს გაუფასურების ინდიკატორი. ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის პოლიტიკასთან თანხვედრის მიზნით.

გ) მეკავშირე კომპანიები

მეკავშირედ ითვლება ისეთი საწარმოები რომლებზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი ზემოქმედება მაგრამ არა კონტროლი, რომელსაც ზოგადად თან ახლავს ხმის უფლების მქონე წილის 20 -50 პროცენტამდე მფლობელობა. ინვესტიცია მეკავშირე კომპანიებში ასახულია კაპიტალ მეთოდით რომელიც აღწერილია ზევით.

ჯგუფი ყოველ წელს აფასებს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცება ინვესტიციის გაუფასურებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში ამოღებული ღირებულებასა და მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება მეკავშირე კომპანიის მოგების/ზარალის წილის აღიარებასთან ერთად.

2.4 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას, მაშინ როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებული თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები გარდა გუდვილისა მიმოიხილება გაუფასურების შებრუნების გაუქმების მიზნით.

2.5 წარდგენის ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად ჯგუფის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2.7 შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.8 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვნამდე.

2.9 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე- 2.31 შენიშვნა;
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები - მე- 10 შენიშვნა;

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზღაურებები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიმღება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.10 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.11 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები,

მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სესხებს.

2.12 ფინანსური ვალდებულებები - შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები და სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.13 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.14 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა ნაგებობები	30,40,50
პორტის მიწა და შენობა ნაგებობები	10- 50
მანქანა-დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა	1- 20
სატრანსპორტო საშუალებები	5,9,10,25
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	5,50

2.15 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 3 წლის გაანგარიშებით.

2.16 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობს ჯგუფი საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორცაა: ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ასეთი ქონება თავაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, ხოლო აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონების ასახვისათვის გამოყენებულია თვითღირებულების მოდელი. საინვესტიციო ქონების ქონების ცვეთის მიზნით გამოყენებული ცხოვრების ხანგრძლივობა ზღვარი შეადგენს 10-50 წლამდე პერიოდს.

2.17 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად მოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს ჯგუფი იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. ჯგუფის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელების უმრავლესობა, მათ შორის ჯგუფსაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფმა ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.18 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.19 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.20 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მიწუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც ჯგუფი მიიღებს გადახდილი ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

2.21 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.22 კაპიტალი.

შპს „პეის ჯორჯიას“ სარეგისტრაციო მონაცემები არ არის მოყვანილი მეწარმეთა შესახებ კანონთან შესაბამისობაში, რის გამოც კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა არ არის თანხვედრაში კანონით განსაზღვრულ კაპიტალის სტრუქტურასთან. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემები, მათ შორის კაპიტალთან დაკავშირებული მონაცემები, ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანილ უნდა იყოს 2026 წლის 1 აპრილამდე. ვინაიდან კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა არ შეესაბამება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული კაპიტალის სტრუქტურას, კომპანიის კაპიტალი წარმოდგენილია ერთიანი კაპიტალის სახით. კაპიტალი შევსებულია სრული ოდენობით.

2.23 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.24 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.25 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

ჯგუფის თითოეული წევრის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო ვალუტა, ასევე ჯგუფის წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2.26 შემოსავლის აღიარება.

გაყიდული მომსახურების აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.27 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დარიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განხორციელებენ ჯგუფის დაქირავებული მომუშავეები. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განხორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.28 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.29 იჯარა

იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულება იმ დღეს, როდესაც საიჯარო აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომია კომპანიის მიერ. თითოეული საიჯარო გადახდა განაწილებულია ვალდებულების და საპროცენტო ხარჯს შორის. საპროცენტო ხარჯი ერიცხება მოგებას ან ზარალს იჯარის პერიოდში მუდმივის პერიოდული საპროცენტო განაკვეთის წარმოებისთვის ვალდებულების ნარჩენ ბალანსზე თითოეულ პერიოდში. გამოყენების უფლებით არსებული აქტივი ამორტიზირდება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადას და იჯარის ვადას შორის უმცირესით წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა იჯარიდან თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული გადახდები), მინუს საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანებები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს;

- თანხები, რომლებიც სავარაუდოდ გადასახდელია მოიჯარის მიერ ნარჩენი ღირებულების გარანტიების ფარგლებში;
- შესყიდვის ფასის ოფციონის გამოყენება, თუ არსებობს სათანადო საფუძველი იმისა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს; და
- ჯარიმების გადახდა იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს, რომ მოიჯარე იყენებს აღნიშნულ ოფციონს.

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შეუძლებელია აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა, გამოიყენება მოიჯარის მზარდი სასესხო განაკვეთი, რომელიც არის განაკვეთი, რომელსაც მოიჯარე გადაიხდიდა მსგავსი ღირებულების აქტივის შეძენისთვის საჭირო სახსრების სესხად აღებისთვის, მსგავს ეკონომიკურ პირობებში მსგავსი პირობებით და დებულებებით.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგ თავდაპირველი აღიარებისას:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა დაწყების დღეს ან მანამდე, მინუს მიღებული საიჯარო შეღავათები;
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები;
- აღდგენის ხარჯები.

საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციონის გამოყენების ან შეწყვეტის ოფციონის არგამოყენების კუთხით. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) შეტანილია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი).

საოპერაციო იჯარების აღრიცხვა კომპანიის, როგორც მეიჯარის მიერ. როდესაც აქტივები გადაეცემა საოპერაციო იჯარაში, მისაღები იჯარის გადახდები აისახება, როგორც საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადაში.

2.30 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს ჯგუფის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

2.31 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება ჯგუფის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა ჯგუფის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

2.31.1 საწარმოს უწყვეტობის პრინციპი.

ჯგუფმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში,

რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2.31.2 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

2.31.3 იჯარის ვადა და ზღვრული სასესხო განაკვეთი

ჯგუფი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ჯგუფი იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

2.31.4 საექვო ვალების რეზერვი.

ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიკურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის რომ საექვო ვალების წარდგენილი მონაცემები 3,400 (5,610 2023 წლის 31 დეკემბრისათვის) წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 10).

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა გეგმები	პორტი და მიმდებარე სასაწყობო მეურნეობის მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა	სახმელე თო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებ ები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობეს ება	პორტის დაუმთავრებ ელი კაპ. დაზანდება	სხვა დაუმთავრებ ელი კაპ. დაზანდება	სულ
ისტორიული ღირებულება:								
31.12.2022	1,141	66,440	4,976	13,074	132	102	661	86,526
შეძენა	-	6	1,208	1,713	-	896	-	3,823
კაპიტალიზებული სესხის ხარჯები	-	(1,294)	-	-	-	-	-	(1,294)
რეკლასი საინვესტიციო ქონებაზე	-	(496)	(578)	329	72	673	-	-
რეკლასიფიკაცია	-	(61,293)	-	-	-	-	-	(61,293)
საინვესტიციო ქონებაზე	-	-	(1)	(1)	-	-	-	(2)
გასვლა	1,141	3,363	5,605	15,115	204	1,671	661	27,760
31.12.2023	-	244	217	3,906	-	3,391	-	7,758
შეძენა	-	-	(1)	(36)	-	-	-	(37)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
რეკლასიფიკაცია	-	(2,376)	-	-	-	-	(202)	(2,578)
საინვესტიციო ქონებაზე	-	-	-	-	-	-	-	-
31.12.2024	1,141	1,231	5,821	18,985	204	5,062	459	32,903
ცვეთა:								
31.12.2022	126	4,166	2,371	511	26	-	-	7,200
პერიოდის ცვეთა	11	-	373	549	9	-	-	942
რეკლასიფიკაცია	-	(4,047)	-	-	-	-	-	(4,047)
საინვესტიციო ქონებაში	-	(18)	18	-	-	-	-	-
რეკლასიფიკაცია	-	-	(1)	-	-	-	-	(1)
გასვლა	137	101	2,761	1,060	35	-	-	4,094
31.12.2023	11	7	494	1,044	9	-	-	1,565
პერიოდის ცვეთა	-	-	(1)	(32)	-	-	-	(33)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31.12.2024	148	126	3,236	2,072	44	-	-	5,626
წმინდა საბალანსო ღირებულება:								
31.12.2022	1,015	62,274	2,605	12,563	106	102	661	79,326
31.12.2023	1,004	3,262	2,844	14,055	169	1,671	661	23,666
31.12.2024	993	1,105	2,585	16,913	160	5,062	459	27,277

ქვემოთ ცხრილში მოცემული ძირითადი საშუალებები გამოყენებულია ჯგუფის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად. დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 14.

	პორტი და მიმდებარე სასაწყობო მეურნეობის მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა	სახმელეთო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებები	პორტის დაუმთავრებელი კაპ. დაზანდება	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება:						
31.12.2022	62,028	915	151	207	86	63,387
31.12.2023	3,016	882	593	1,840	403	6,734
31.12.2024	860	892	489	5,222	391	7,854

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 129 და 161 ლარის წმინდა საბალანსო ღირებულებით, შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო გადაცემული მოკლევადიანი იჯარის ხელშეკრულებებით. საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 501 და 501 ლარი 2024 და 2023 წლებში შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილია სხვა შემოსავლის სახით სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იხილეთ აღნიშნული აქტივების დეტალები ქვემოთ ცხრილის სახით:

მანქანა- დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა	
ისტორიული ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	829
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	829
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	829
ცვეთა:	
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	601
პერიოდის ცვეთა	67
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	668
პერიოდის ცვეთა	32
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	700
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	228
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	161
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	129

2014 წელს, კომპანიამ სახელმწიფოსგან შეიძინა 220-ის ღირებულების მიწა და შენობა-ნაგებობები. საპრივატიზაციო ხელშეკრულება მოიცავს მის სარგებლობასთან დაკავშირებულ გარკვეულ მუდმივ შეზღუდვას.

2024 წლის სექტემბერში შპს “ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურს” სახელმწიფოს მიერ და სიმბოლური 1 ლარის სანაცვლოდ მიენიჭა უფლება (აღნაგობის უფლება), რომ ააშენოს სპეციფიკური შენობა მის მიერ ოპერირებულ პორტთან მდებარე აკვატორიასთან მიმდებარე 5,236 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. შეთანხმება ძალაშია 49 წლის ვადით, განსაზღვრული გაგრძელების პირობებით. ხელშეკრულების მიხედვით, შპს “ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურს” აქვს ვალდებულება, რომ 36 თვის განმავლობაში განახორციელოს 5 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ამ მიწაზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ეს ტრანზაქცია ასახულია სიმბოლურ ღირებულებაზე 1 ლარად. დედა კომპანიამ სახელმწიფოსთან შესაბამისი შეთანხმების ფარგლებში გასცა 500,000 აშშ დოლარის გარანტია. დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 6.

4. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია იჯარით იღებს ოფისებს. იჯარის ხელშეკრულება არის 7 წლიანი და დენომინირებული ლარში.

ჯგუფს არ გააჩნია იჯარის ხელშეკრულებების მსგავსი პირობებით მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 12 % ოდენობით. 2024 წელს ჯგუფმა გააფორმა ხუთწლიანი იჯარის ხელშეკრულება მზის მიკროელექტროსადგურზე. იჯარის გადახდები ფიქსირებულია ხელშეკრულების ვადამი და განსაზღვრულია ქართულ ლარში (GEL).

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

აქტივები გამოყენების უფლების ფორმით, ძირითადი ერთეულების კლასის მიხედვით, იშლება შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი	მზის მიკრო ელექტროსადგურ	სულ
31.12.2022	264	-	264
შეწყვეტა	(23)	-	(23)
ცვეთა	(79)	-	(79)
31.12.2023	162	-	162
დამატება	-	476	476
ცვეთა	(80)	(40)	(120)
31.12.2024	82	436	518

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას.

	2024	2023
1 იანვარი	205	320
დამატება	476	-
საპროცენტო ხარჯი	46	32
პროცენტის გადახდა	(46)	(32)
ძირის გადახდა	(127)	(88)
შეწყვეტა	-	(27)
31 დეკემბერი	554	205

იჯარის ხელშეკრულებები არ გულისხმობს რაიმე სახის პირობებს (კოვენანტებს) საკუთრების უფლებების დაცვის გარდა საიჯარო აქტივებში, რომელსაც ფლობს მეიჯარე. საიჯარო აქტივები არ შეიძლება გამოყენებული იქნას უზრუნველყოფად სესხებზე.

5. საინვესტიციო ქონება

	მიწა და შენობანაგებობები	სულ
ისტორიული ღირებულება		
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	114,232	114,232
დამატება	554	554
სესხის ხარჯები რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებებიდან	1,294	1,294
რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებებიდან	61,293	61,293
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	177,373	177,373
დამატება	1,256	1,256
რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებიდან	2,578	2,578
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	181,207	181,207
ცვეთა:		
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,991	1,991
პერიოდის ცვეთა	3,049	3,049
რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებებიდან	4,046	4,046
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,086	9,086
პერიოდის ცვეთა	3,086	3,086
რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებებში	-	-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,172	12,172
წმინდა საბალანსო ღირებულება:		
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	112,241	112,241
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	168,287	168,287
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	169,035	169,035

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ ცხრილში მოცემული საინვესტიციო ქონება გამოყენებულია ჯგუფის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად. დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 14.

	მიწა და შენობანაგებობები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება:		
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	109,888	109,888
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	165,978	165,978
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	166,572	166,572

ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მეთოდს საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის. საინვესტიო ქონება წარმოადგენს აქტივების ჯგუფს რომლების განლაგებულია ორ ლოკაციაზე:

პირველი და ძირითადი ჯგუფი (ნეტო საბალანსო ღირებულება 166,572) - ჯგუფი ფლობს ფოთში ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს და მიწას (ჯამურად 230 ათასი კვადრატული მეტრი) და მათზე მდგარ შენობა ნაგებობებს. ყველა ეს ქონება განვითარდა ახალი ზოგადი ტვირთების, მშრალი ნაყარი და საკონტეინერო პორტის ტერმინალის ასაშენებლად, მათ შორის, გათხრებისა და მრავალფუნქციური ნავმისადგომისა და მასთან დაკავშირებული საწყობების მშენებლობისთვის. როგორც შენიშვნა 14 ში ადნიშნული, ამ პროექტის ფინანსირებისათვის კომპანიამ და მისმა დაკავშირებულმა მხარეებმა 2019 წელს ხელი მოაწერეს სასესხო ხელშეკრულებას Overseas Private Investment Corporation-თან. 2022 წელს ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარების პირველი ეტაპი დასრულდა, თუმცა ახალი პორტის ინფრასტრუქტურის განვითარება მიმდინარეობს. კომპანიამ პორტის ნაწილი იჯარით გადასცა დაკავშირებულ მხარეს შპს „ტრანსფორდს“, რომელიც არის ახალი საზღვაო პორტის ოპერატორი, სწორედ ეს ქონება არის ასახული საინვესტიციო ქონებად. ამ, საწყის ეტაპზე, ქონების იჯარის ურთიერთობის ფასწარმოქმნის მოდელის დასრულებამდე ფაქტიური იჯარის შემოსავლების მეთოდზე დაყრდნობით საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. საიმედოდ შეფასება ასევე შეუძლებელს ხდის ანალოგური ქონების გაყიდვისა ან იჯარით გაცემის ოპერაციების არ არსებობა.

აქტივების მეორე ჯგუფი (ნეტო საბალანსო ღირებულება 2,265) - შვილობილი კომპანიის შპს პორტლენდით შეძენის შედეგად დამატებული საინვესტიციო ქონება - შესყიდვამდე შპს პორტლენდის ძირითად აქტივებს წარმოადგენდა ფოთის საზღვაო პორტის მიმდინარე მიწის ნაკვეთები და შენობები (მიწის საერთო ფართობი 14,475 ათასი კვადრატული მეტრია). ამ მიწის ნაკვეთის 2,046 და 12,3 კვადრატული მეტრი დატვირთულია სერვიტუტით 20 წლითა და განუსაზღვრელი ვადით შესაბამისად ერთობლივად კონტროლირებადი სუბიექტის შპს ტრანსფორდსა და მესამე მხარის სასარგებლოდ. შპს პორტლენდი ძირითადად არააქტიური იყო, შესაბამისად მისი შესყიდვა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია როგორც „აქტივების შესყიდვა“ ნაცვლად „საწარმოთა გაერთიანებისა“. შესაბამისად, შესყიდვასთან დაკავშირებით არ მოხდა გუდვილის გაანგარიშება და აღიარება. შესყიდვის ღირებულება შეფასდა გადაცემული ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით. შესყიდვის ღირებულება გადანაწილდა ცალკეულ აქტივებზე და აღებულ ვალდებულებებზე მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის მენეჯმენტი აპირებს გამოიყენოს შპს პორტლანდის უძრავი აქტივები იჯარის შემოსავლის გენერირების მიზნით, შესაბამისად აქტივი აღიარებულია როგორც საინვესტიციო ქონება. შესყიდვის ღირებულების გადანაწილების მონეტარული დეტალები იხილეთ ქვემოთ ცხრილი:

	თანხა
100 პროცენტი წილის შესყიდვის ღირებულება	
გადასანაწილებელი ღირებულება	1,428
განაწილებული:	
ნეტო მონეტარულ აქტივებზე	(925)
მიწაზე და შენობა ნაგებობაზე	2,353

ამ ქონების სამართლიანი ღირებულება შეადგენს 2024 წლის 31 დეკემბრისათვის 3,180. სამართლიანი ღირებულების განისაზღვრისას მენეჯმენტმა გამოიყენა დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის ანგარიში, ანგარიშში გამოყენებულია ბაზარზე მოპოვებული მონაცემები (მე-2 დონის მონაცემები - მონაცემები რომლებიც არ

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

წარმოადგენენ დაკვირვების ქვეშ მყოფი აქტივის კვოტირებულ ფასებს, პირდაპირ ან არაპირდაპირ) რის საფუძველზეც შეფასებისას გამოყენებულია გაყიდვების შედარების მეთოდი.

აქტივების მესამე ჯგუფი (ნეტო საბალანსო ღირებულება 198) - წარმოადგეს პეის ჯორჯიას საოფისე ფართს რომელიც გაქირავებულია ასოცირებულ კომპანიაზე. ქონების საბაზრო ღირებულებას შეადგენს 800-850.

6. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გარანტიის უზრუნველყოფისთვის ბლოკირებული თანხა	1,403	500
სესხის მომსახურების სარეზერვო საბანკო ანგარიში	2,359	2,261
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები	364	137
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	4,126	2,898

ქვემოთ ცხრილში მოცემული სხვა გრძელვადიანი აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოყენებულია ჯგუფის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად. სესხის დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 14.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გარანტიის უზრუნველყოფისთვის ბლოკირებული თანხა	-	500
სესხის მომსახურების სარეზერვო საბანკო ანგარიში	2,359	2,261
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები	364	137
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	2,723	2,898

7. მეკავშირე კომპანია

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	1,406	2,314
მოგების წილი	1,626	4,062
დივიდენდები	(2,471)	(4,970)
31 დეკემბრის მდგომარეობით	561	1,406

ჯგუფის მეკავშირე კომპანიების შედეგები, და მათი ჯამური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სახელწოდება	რეგისტრაცი- ის ქვეყანა	აქტივები	ვალდებულ ებები	შემოსავლები	მოგება	% მონაწილეო ბის წილი
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:						
შპს ზიმ						
ინთეგრირირებული შიფინგ სერვისის	საქართველო	2,382	310	8,606	3,318	49%
ჯორჯია						
სულ		2,382	310	8,606	3,318	

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სახელწოდება	რეგისტრაცი- ის ქვეყანა	აქტივები	ვალდებულ ებები	შემოსავლები	მოგება	% მონაწილეო ბის წილი
2023 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით:						
შპს ზიმ						
ინთეგრირირებულ შიფინგ სერვისის ჯორჯია	საქართველო	4,939	1,490	17,771	8,289	49%
სულ		4,939	1,490	17,771	8,289	

8. ერთობლივად კონტროლირებადი კომპანია

ჯგუფის ერთობლივ კონტროლირებად კომპანიას მიადგა ზარალი 2024 წელს, რის გამოც კონტროლირებად საწარმოში წილის ღირებულება განულდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამ თარიღისათვის არაკომპენსირებული ზარალი შეადგენს 5,947.

ჯგუფის ერთობლივად კონტროლირებადი კომპანიის შედეგები, და მათი ჯამური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
1 იანვრის მდგომარეობით	631	4,834
ზარალის წილი (მონაწილეობის წილი 75%)	(631)	(4,085)
მიდა ჯგუფური ოპერაციის ელიმინაცია	-	(118)
31 დეკემბრის მდგომარეობით	-	631

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები	249,654	270,507
მოკლევადიანი აქტივები	37,284	30,706
სულ აქტივები	286,938	301,213

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები	268,322	277,451
მოკლევადიანი ვალდებულებები	31,352	28,231
სულ ვალდებულებები	299,674	305,682
ნეტო აქტივები	(12,736)	(4,469)

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
შემოსავალი	79,676	65,966
ხარჯები(მოგების გადასახადის ჩათვლით)	(87,944)	(73,015)
წმინდა ზარალი	(8,268)	(7,049)

– არამაკონტროლებელის წილი მოგება/(ზარალი)	502	(1,603)
– შპს ტრანსფორდის მფლობელების წილი	(8,770)	(5,446)

2017 დეკემბერში კომპანიამ გაზარდა თავისი წილი შპს ტრანსფორდში 50%-დან 75%-მდე. შპს ტრანსფორდის წესდებით კომპანიის დამფუძნებლებს აქვთ თანაბარი უფლებები კომპანიის მართვისას, რის გამოც შპს ტრანსფორდი არ არის განხილული როგორც კომპანიის შვილობილი კომპანია, არამედ როგორც ერთობლივად ფლობილი კომპანია.

ჯგუფი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს ზარალი.

ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად კომპანიაში გამოყენებულია ჯგუფის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად. სესხის დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 14.

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები მოიცავს სათადარიგო ნაწილებს. მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 58 და 21 ლარის ოდენობით გამოყენებულია ჯგუფის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად. სესხის დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 14.

10. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	23,238	21,726
საექვო ვალების რეზერვი	(3,400)	(5,610)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	19,838	16,116

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	(5,610)	(5,713)
რეზერვის გამოყენება	1,546	294
გადაანგარიშება მიმდინარე პერიოდისთვის	664	(191)
31 დეკემბრის მიხედვით	(3,400)	(5,610)

სავაჭრო დებიტორული დავალიანება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 346 და 416 ლარის ოდენობით გამოყენებულია ჯგუფის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად. სესხის დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 14.

შპს „პეის ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,086	2,721
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების რეზერვი	(18)	-
სადეპოზიტო სერტიფიკატი	14,034	-
სადეპოზიტო სერტიფიკატზე დარიცხული მისაღები პროცენტი	461	-
წინასწარ გაწეული ხარჯები	3,084	4,302
მისაღები დივიდენდები ერთობლივად კონტროლირებადი კომპანიიდან	912	912
მისაღები გარანტიაზე დარიცხული პროცენტი	-	1,040
წინასწარ გადახდილი გადასახადები	145	-
შეზღუდული ფულადი სახსრები მოკლევადიანი გარანტიებისთვის	761	13,913
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	21,465	22,888

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 550 და 20 ლარის ოდენობით გამოყენებულია ჯგუფის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად. სესხების დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 14.

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	6,550	7,530
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	50,896	63,413
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57,446	70,943

ქვემოთ ცხრილში მოცემული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გამოყენებულია ჯგუფის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად. დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 14.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	4,326	2,476
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1	1,444
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,327	3,920

13. უმცირესობის წილი

უმცირესობის წილი დაკავშირებულია შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურთან“.

შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ არამაკონტროლებელი წილის ბალანსის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
1 იანვრის მდგომარეობით	23,904	21,445
მოგების წილი	1,498	2,459
31 დეკემბერი	25,402	23,904

შპს „პეის ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ საქმიანობის შედეგები და აქტივები და ვალდებულებები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები:		
გრძელვადიანი აქტივები	177,589	175,609
მოკლევადიანი აქტივები	5,281	4,377
სულ	182,870	179,986
ვალდებულებები:		
გრძელვადიანი ვალდებულებები	71,529	75,259
მოკლევადიანი ვალდებულებები	9,732	9,113
სულ	81,261	84,372
ნეტო აქტივები	101,609	95,614
	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
შემოსავალი	23,054	22,666
ხარჯები	(9,516)	(9,094)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	(7,546)	(3,737)
წმინდა მოგება	5,992	9,835
– არამაკონტროლებელი წილი	1,498	2,459
– ჯგუფის მფლობელები	4,494	7,376

14. სესხები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ვადიანი სესხების დარიცხული პროცენტი (მოკლევადიანი)	-	86
ვადიან სესხებზე დარიცხული პროცენტი (ტრანსფორდი) (მოკლევადიანი)	424	-
ვადიან სესხებზე დარიცხული პროცენტი (ტრანსფორდი) (გრძელვადიანი)	-	385
ვადიან სესხებზე დარიცხული პროცენტი (DFC) (მოკლევადიანი)	1,296	1,295
ვადიანი სესხები (DFC) (მოკლევადიანი)	7,563	7,247
ვადიანი სესხები (მოკლევადიანი) ტრანსფორდი	450	-
ვადიანი სესხები (მოკლევადიანი)	773	14,113
ვადიანი სესხები (DFC) (გრძელვადიანი)	71,089	75,259
ვადიანი სესხები (გრძელვადიანი) ტრანსფორდი	-	450
ვადიანი სესხი (გრძელვადიანი)	5,088	12,127
სულ	86,683	110,962

შპს „პეის ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ვალდებულების დაფარვის გრაფიკი:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:		
1 წელში	10,570	22,741
1-3 წელში	16,608	18,527
3-6 წელში	25,009	26,539
6 წლის შემდეგ	34,496	43,155
სულ	86,683	110,962

ვალდებულებები წარდგენილია შემდეგ ვალუტაში:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ლარი	874	835
ევრო	5,861	12,793
აშშ დოლარი	79,948	97,334
	86,683	110,962

ფექტური საპროცენტო განაკვეთი Pace North Company Inc ბალანსის შედგენის თარიღებისათვის:

2024-2023	დოლარში, %
ვადიანი სესხი	2.84; 3

სესხი UNITED STATES INTERNATIONAL DEVELOPMENT FINANCE CORPORATION (DFC)- სგან. 2019 წლის 14 მაისს, ერთის მხრივ შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურსა“ და შპს „ტრანსფორდს“ (ამ ახსნა განმარტების შენიშვნის მიხედვისათვის ერთად წოდებულნი, როგორც მსესხებლები, ცალ-ცალკე - მსესხებელი) და მეორეს მხრივ აშშ -ს სახელმწიფო საინვესტიციო კორპორაცია OVERSEAS PRIVATE INVESTMENT CORPORATION (OPIC) - ს (გამსესხებელი) შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება.

სესხის ხელშეკრულების ფარგლებში, გამსესხებელმა აიღო ვალდებულება, სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული პროექტის (“Project” means the development by the Borrowers of a new general cargo, dry bulk, and container port terminal, including dredging and the construction of a multifunctional berth and associated warehouses, at the Port of Poti – Pace Terminal in Georgia) დაფინანსების მიზნით, მსესხებლებს, სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, ასეცხოს 50 000 000 აშშ დოლარამდე ოდენობის თანხა. 2020 წლის 1 იანვრიდან OPIC უფლებამონაცვლესა და სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს UNITED STATES INTERNATIONAL DEVELOPMENT FINANCE CORPORATION (DFC), მსესხებლების წინაშე ნაკისრი უფლებები და ვალდებულებები სრულად გადაეცა DFC - ს და შესაბამისად, აღნიშნული პერიოდიდან გამსესხებელს წარმოადგენს DFC.

ხელშეკრულების პირობების დასაკმაყოფილებლად, ორივე მსესხებელმა, აშშ - ში (US BANK - ში) გახსნა, ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიშები - DSR ACCOUNTS. 2020 წლის 7 აპრილს, US BANK - ს, DFC - სა და მსესხებლებს შორის გაფორმდა SECURITY AND DEPOSIT ACCOUNT CONTROL AGREEMENT - ები, რომლის ფარგლებშიც, DFC - ს ინტერესების უზრუნველსაყოფად დაიტვირთა US BANK - ში გახსნილი, მსესხებელთა DSR ACCOUNT - ები და მათზე დრო და დრო განთავსებული თანხები, ხოლო მსესხებლებს, აკრძალა აღნიშნულ ანგარიშებზე განთავსებული სახსრების განკარგვა DFC - ს თანხმობის გარეშე. მონეტარული დეტალებისათვის იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 6.

2020 წლის 08 მაისს, მას შემდეგ, რაც გამსესხებლის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ მსესხებლებმა დააკმაყოფილეს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირველი ტრანშის (disbursement) მისაღებად აუცილებელი პირობები, გამსესხებელმა, მსესხებლების სასარგებლოდ გასცა სესხის პირველი ტრანშის - 30 800 000 აშშ დოლარის ოდენობით. 2021 წელს მოხდა დამატებითი სესხის გაცემა და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის გაცემული სესხის თანხამ შეადგინა 49,000 ათასი აშშ დოლარი, მათ შორის: ა) 32,590,260 აშშ დოლარი ჩაირიცხა შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ ანგარიშზე, ბ) 14,700,000 აშშ დოლარი ჩაირიცხა შპს ტრანსფორდის ანგარიშზე, გ) 839,370 აშშ დოლარი ჩაირიცხა შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ DSR ACCOUNT - ზე აშშ - ში, დ) 370,370 აშშ დოლარი ჩაირიცხა შპს „ტრანსფორდის“ DSR ACCOUNT - ზე აშშ - ში და ე) 500 000 აშშ დოლარი გადახდილ იქნა DFC - ს

**შპს „პეის ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

სასარგებლოდ (Facility Fee). სესხის ძირის გადახდა დაწყების ვადა შეიცვალა და ჩამოყალიბდა 2023 წლის 15 მარტის მაგივრად 2024 წლის 1 აგვისტოს სახით. დარჩენილი სესხის თანხების გამოთხოვნის ბოლო ვადა იყო 2022 წლის 31 მარტი. სესხის საბოლოო დაფარვის ვადაა 2034 წლის 15 მარტი. სესხის პროცენტი განისაზღვრება ფიქსირებული სახით და სამი ტრანშისთვის შეადგინა 4.81%, 5.38%, და 5.47%.

გამსესხებლის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით 2020 წლის 24 აპრილს, მსესხებლებსა და გამსესხებელს შორის გაფორმდა უზრუნველყოფის (გირავნობისა და იპოთეკის) და გადაცემის შესახებ (პირობითი დათმობის) ხელშეკრულებები, რომელთა ფარგლებშიც, გამსესხებლის სასარგებლოდ დაიტვირთა მსესხებელთა კუთვნილი აქტივები.

გამსესხებლის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით 2020 წლის 24 აპრილს, შპს „პეის ჯორჯიას“ და PACE INTERNATIONAL LLC - ს, მსესხებლებსა და გამსესხებელს შორის გაფორმდა გირავნობისა და გადაცემის შესახებ (პირობითი დათმობის) ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, გამსესხებლის სასარგებლოდ დაიტვირთა შპს „პეის ჯორჯიას“ და PACE INTERNATIONAL LLC - ს კუთვნილი 100% წილები მსესხებლებში. გარდა ამისა შპს „პეის ჯორჯიას“ ქონდა ვალდებულება უზრუნველყოფაში ჩადო გარკვეული უძრავი ქონება რომლის საბალანსო ღირებულებაც 246 შეადგენს 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, რაც შესრულებულია.

2020 წლის 27 აპრილს, მსესხებლებს, შპს „პეის ჯორჯიას“, PACE INTERNATIONAL LLC - ს და გამსესხებელს შორის გაფორმდა SPONSOR SUPPORT AGREEMENT. შპს „პეის ჯორჯია“ და PACE INTERNATIONAL LLC აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში წარმოადგენენ მსესხებლების სპონსორს. აღნიშნული სპონსორობის სტატუსის ფარგლებში შპს „პეის ჯორჯიამ“ და PACE INTERNATIONAL LLC - მ იკისრეს პასუხისმგებლობა მსესხებელთა მიერ პროექტის შესრულებაზე ამ უკანასკნელის ოპერირების დაწყებამდე, კერძოდ კი განისაზღვრა სპონსორთა ვალდებულება: (ა) განაპირობოს მსესხებელთა მხრიდან პროექტის ოპერირებაში გაშვება; (ბ) წარადგინოს 5,000,000 აშშ დოლარის ოდენობის აკრედიტივი/საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მსესხებელთა მხრიდან საჭირო დაბანდებების განხორციელებას პროექტში (შეთანხმებული ფინანსური გეგმის მიხედვით) და (გ) გამსესხებლის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის წაყენების პირობებში, სრულად გადაიხადონ მოთხოვნილი თანხა/თანხები, რაც, გამსესხებლის გონივრული დასკვნის საფუძველზე, საჭიროა პროექტის ოპერირებაში გასაშვებად. 2020 წლის მაისში რელევანტური საბანკო გარანტია გაცემულია ერთ ერთი ქართული კომეციული ბანკის მიერ. სწორედ ამ გარანტიის ფარგლებში არის განთავსებული გარანტიის უზრუნველყოფის ანგარიშზე თანხა. გარანტია გაცემულია 2024 წლის 15 მარტამდე თარიღამდე.

2020 წლის 27 აპრილს, შპს „პეის ჯორჯიას“ და გამსესხებელს შორის გაფორმდა გარანტიის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, შპს „პეის ჯორჯიამ“ გასცა გარანტია და იკისრა პასუხისმგებლობა, ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და შეთანხმებების ფარგლებში, მსესხებლების მიერ გამსესხებლისათვის გადასახდელი თანხების გადახდაზე.

2024 წელს კომპანიის შვილობილმა კომპანიამ შპს ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურმა და ერთობლივად კონტროლირებადმა კომპანიამ შპს ტრანსფორდმა მიმართეს გამსესხებლებს ახალი დაფინანსებისათვის ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის შემდგომი განვითარების მიზნით. აღნიშნული განვითარება სპეციფიკურად გამიზნულია სასუქების ტიპის ტვირთების დამუშავების სიმძლავრეების განვითარებისთვის. მეორე ფაზის ფინანსირება განისაზღვრება 25 მილიონი აშშ დოლარით. ამ დაფინანსების პირობები დამტკიცებულია DFC საკრედიტო და საინვესტიციო კომიტეტების და საბჭოს მიერ. იმ შემთხვევაში თუ ეს პირობები აისახება სესხის ახალ ხელშეკრულებაში, მაშინ ფინანსური კოეფიციენტების მსესხებლების მიერ შესრულების ვალდებულება გადაიწევეს სესხის ახალი ხელშეკრულებით განსაზღვრული საშელავათო პერიოდით რაც მსესხებლებს მისცემს დამატებით 18 თვეს ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილებისთვის.

DFC გაფორმებული სესხის ფარგლებში, მსესხებლებმა იკისრა ვალდებულება, **DFC** წერილობითი თანხმობის გარეშე არ განახორციელოს გარკვეული ტიპის ქმედებები და უზრუნველყოს გარკვეული ტიპის ფინანსურ კოეფიციენტთან შესაბამისობა, რომელთა ძირითადი ნაწილი მოცემულია ქვემოთ:

- სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული უზრუნველყოფის გარდა, მსესხებელი არ შექმნის, გაითვალისწინებს ან დაუშვებს ნებისმიერ მის ამჟამინდელ ან მომავალ ქონებაზე, ასევე ამ ქონებიდან მიღებულ ნებისმიერ სარგებელზე, უზრუნველყოფის გამოყენებას ნებისმიერი ფორმით, პირდაპირი თუ ირიბი სახით;
- გარდა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის ცალკეული შემთხვევებისა, მსესხებელი არ იქნება პასუხისმგებელი და არ გასცემს არავითარ გარანტიებს გადახდისუუნარობის შემთხვევაში გარდა: DFC-ს სესხისა, არსებული Pace North სესხისა და ნებისმიერი გადახდისუუნარობისა,

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

რომელიც მთლიანად არის დამოკიდებული DFC-ს სესხზე, თუკი გადახდისუნარიობის პირობებს დაკმაყოფილებულად მიიჩნევს DFC;

- სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შესრულების გარეშე, მსესხებლებს არ აქვს უფლება აიღოს რაიმე ვალდებულება ან განახორციელოს რაიმე გადახდა, რაც დაკავშირებული იქნება აკრძალულ გადახდასთან ან მეწილესთვის/აქციონერისთვის გადახდასთან (პირობები განსაზღვრულია სესხის ხელშეკრულებით);
- სესხის პირობებების შესაბამისად მსესხებლები ვალდებულია განათავსოს თანხები DSR ანგარიშზე იმ რაოდენობით, რომელიც არანაკლებია მომდევნო ექვსთვიან პერიოდის სესხის მომსახურების საერთო თანხაზე.
- სესხის ძირითადი თანხის უკან დაბრუნების გადავადების პერიოდის ვადის გასვლის შემდეგ მსესხებლები ერთობლივად ვალდებული არიან, რაც გულისხმობს შესაბამისი ფინანსური მაჩვენებლების ჯამს, დაიცვან შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:
 - i. ნებისმიერ მომენტში სესხის თანაფარდობის (Leverage Ratio) კოეფიციენტი არ უნდა იყოს 2.25 მეტი;
 - ii. ნებისმიერ მომენტში მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებასთან არ უნდა იყოს 1.2 ნაკლები;
 - iii. მიმდინარე სესხის მომსახურების კოეფიციენტი არ უნდა იყოს პროექტის მშენებლობის დასრულების პირველ ორი წლის განმავლობაში 1.3 - ზე ნაკლები, ხოლო ამ პერიოდის შემდეგ 1.5 ზე ნაკლები;
 - iv. მომავალი სესხის მომსახურების კოეფიციენტი არ უნდა იყოს პროექტის მშენებლობის დასრულების პირველ ორი წლის განმავლობაში 1.3 - ზე ნაკლები, ხოლო ამ პერიოდის შემდეგ 1.5 ზე ნაკლები;

ამ ვალდებულებების დარღვევა DFC-ს აძლევს უფლებას განახორციელოს სხვადასხვა ქმედება, მათ შორის სესხის სრული ან ნაწილობრივი თანხის დაუყოვნებლივ მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში, განსაზღვრული ნაწილი ან მთელი სესხი, დაგროვილ პროცენტებთან და სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა გადასახდელ თანხებთან ერთად, გახდება გადასახდელი.

სესხის ძირითადი თანხის უკან დაბრუნების საშუალო პერიოდი დასრულდა 2023 წლის 15 მარტს, შესაბამისად მსესხებლები ვალდებული იყვნენ დაეცვათ ზემოთ მოცემული სესხის კოეფიციენტები 2024 წლის 31 დეკემბრისათვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ფაქტობრივად გაანგარიშებული კოეფიციენტების ოდენობას:

ფინანსური კოეფიციენტების განმარტება	ფაქტიურად მონაცემებით გაანგარიშებული კოეფიციენტი	ზემოთ განმარტებული ლიმიტები
სესხის თანაფარდობის (Leverage Ratio)	2.25	არ უნდა იყოს მეტი 2.25
მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებასთან	1.28	არ უნდა იყოს ნაკლები 1.2
მიმდინარე სესხის მომსახურების კოეფიციენტი	1.13	არ უნდა იყოს ნაკლები 1.3
მომავალი სესხის მომსახურების კოეფიციენტი	1.09	არ უნდა იყოს ნაკლები 1.3

როგორც ცხრილშია მითითებული, მსესხებლებმა ვერ შეასრულეს ზოგიერთი მოთხოვნილი ფინანსური ვალდებულება, ვერ დაიცვა კოეფიციენტთან შესაბამისობის მოთხოვნა. ასევე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, DSR ანგარიშზე არსებული თანხა ნაკლები იყო DSR მოთხოვნაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, DFC-მა უარი თქვა თავისი უფლებების გამოყენებაზე, რომელიც უკავშირდება ზემოაღნიშნული ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნების ვალდებულების დარღვევას. ამ უარის აღიარების ფარგლებში, მსესხებლებმა აიღეს ვალდებულება, რომ Debt Service Reserve (DSR) ანგარიშის შევსება მოხდება მინიმუმ იმ დონეზე, რაც შეესაბამება DSR მოთხოვნას, არაუგვიანეს შემდეგი ორი თარიღიდან უფრო ადრე

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მომენტისათვის: (ა) მეორე სესხის მექანიზმის ფარგლებში პირველი ტრანშის მიღებაზე, რომელიც ამჟამად მოლაპარაკების პროცესშია DFC-სთან, ან (ბ) 2025 წლის 31 ოქტომბრამდე. მსესხებლების მიერ შევსების სავარაუდო მოთხოვნა შეადგენდა 1,769 ათას აშშ დოლარს.

15. გარანტიის ანარიცხი

კომპანიასა და სხვა ქართულ კომპანიას კანონით აკისრიათ გარკვეული ხარჯების გაწევა პორტის აკვატორიაში საერთო შესასვლელი საზღვაო არხის მოვლასთან დაკავშირებით. სავარაუდო ხარჯებისათვის აღიარებულია ანარიცხი. კომპანიამ ან ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით იგივე თანხის ოდენობის დეპოზიტი განათავსა. იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 11.

16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
დავალიანება მომწოდებლების მიმართ	6,786	9,610
ძირითადი საშუალებების შეძენის ან მშენებლობისთვის	75	431
წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება		
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	800	1,148
გადასახდელი საბანკო გარანტიის პროცენტი	-	62
გადასახდელი ხელფასები	31	14
გადასახდელი გადასახადები	81	95
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	7,773	11,360

17. შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან 2024 წელი:

	საქართველოში გაწეული მომსახურება
საქონლის და მომსახურების სახეები	
ფორვარდირება, ტვირთების შენახვის, ჩატვირთვა გადმოტვირთვის მომსახურება	124,055
გემების სააგენტო მომსახურება	1,727
შემოსავლები საპორტო ოპერაციებიდან	6,116
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	131,898
საქონლის და მომსახურების გადაცემის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	131,898
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	131,898

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემოსავალი რეალიზაციიდან 2023 წელი:

	საქართველოში გაწეული მომსახურება
საქონლის და მომსახურების სახეები	
ფორვარდირება, ტვირთების შენახვის, ჩატვირთვა გადმოტვირთვის მომსახურება	119,983
გემების სააგენტო მომსახურება	1,409
შემოსავლები საპორტო ოპერაციებიდან	6,570
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	127,962
საქონლის და მომსახურების გადაცემის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	127,962
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	127,962

18. გაყიდვების თვითღირებულება

	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
რკინიგზა და პორტის მომსახურების ხარჯი	41,010	34,790
ჩატვირთვა გადმოტვირთვის ხარჯი	62,899	55,587
შრომის ანაზღაურება	4,634	3,909
ცვეთა	4,376	3,815
ბუქსირმზიდით მომსახურება	259	466
სარემონტო სამუშაოები	373	205
სხვა ხარჯი	1,182	1,227
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	114,733	99,999

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
შრომის ანაზღაურება	2,766	2,686
საგადასახადო ხარჯი	2,361	2,172
აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	705	728
საწვავის ხარჯი	463	406
დაზღვევის ხარჯი	368	322
ცვეთა და ამორტიზაცია დაცვის ხარჯი	257	244
ქველმოქმედება	107	212
გამოყენების უფლებით აღებული აქტივების ცვეთა	81	81
საექვო ვალების ხარჯი	74	190
იჯარა და კომუნალური გადასახადების ხარჯი	62	60
საოფისე ხარჯი	43	53
მივლინების ხარჯები	34	107
კომუნიკაციის ხარჯი	28	31
დაცვის ხარჯი	15	15
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	499	276
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7,863	7,583

20. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
მოგება საკუროს სხვაობიდან	246	1,038
საპროცენტო შემოსავალი	2,057	1,699
საპროცენტო ხარჯი	(4,651)	(4,997)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(46)	(32)
სხვა ფინანსური ხარჯები	(133)	(132)
სულ ფინანსური ხარჯი (ნეტო)	(2,527)	(2,424)

21. ცვლილებები საფინანსო საკმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2024 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადები თ გამოწვეუ ლი ცვლილება	დივიდენდ ის დარიცხვა	წინასწარ გაწეული ხარჯების ამორტიზაც ია	დამატე ბა	გაქვითვა სავაჭრო დებიტორებ ში	გადაფასებ ით გამოწვეუ ლი სხვაობა	2023 წლის 31 დეკემბერი
დივიდენდის დავალიანება	768	(4,516)	5,000	-	-	-	-	284
სესხი	84,963	(7,213)	-	72	-	(21,032)	3,940	109,196
იჯარის ვალდებულებ ები	554	(127)	-	-	476	-	-	205
სულ	86,285	(11,856)	5,000	72	476	(21,032)	3,940	109,685

	2023 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადებით გამოწვეული ცვლილება	დივიდენდ ის დარიცხვა	წინასწარ გაწეული ხარჯების ამორტიზაც ია	იჯარის შეწყვეტა	გადაფასები თ გამოწვეული სხვაობა	2022 წლის 31 დეკემბერი
დივიდენდის დავალიანება	284	(3,716)	4,000	-	-	-	-
სესხი	109,196	(7,341)	-	71	-	(303)	116,769
იჯარის ვალდებულებები	205	(88)	-	-	(27)	-	320
სულ	109,685	(11,145)	4,000	71	(27)	(303)	117,089

22. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	19,838	16,116
სადეპოზიტო სერთიფიკატი	14,034	-
შეზღუდული ფულადი სახრები მოკლევადიანი გარანტიებისთვის	761	13,913
გარანტიის უზრუნველყოფისთვის ბლოკირებული თანხა	1,403	500
გრძელვადიანი		
სადეპოზიტო სერთიფიკატზე დარიცხული მისაღები პროცენტი	461	-
სესხის მომსახურების სარეზერვო საბანკო ანგარიში	2,359	2,261
გარანტიის უზრუნველყოფისთვის ბლოკირებული თანხაზე	-	1,040
დარიცხული პროცენტის სახით მოთხოვნა		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	57,446	70,943
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	96,302	104,773

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ჯგუფი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწეხულობაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. ჯგუფის შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსალოდნოლი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მცირე რაოდენობის დებიტორების გამო მოსალოდნელი ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების 36 თვიან ისტორიულ მონაცემებს. დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორების ამოღებადობაზე.

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ამ პრინციპით გაანგარიშებული საექვო ვალების რეზერვი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

	ბალანს ები მოთხო ვნამდე	30 დღემდ ე ვადაგა დაცილ ება	30-60 დღე ვადაგა დაცილ ება	60-90 დღე ვადაგა დაცილ ება	90-180 დღე ვადაგა დაცილ ება	180- 270 დღე ვადაგ ადაცი ლება	270 - 365 დღე ვადა გადა ცილე ბა	365 დღეზე მეტი ვადაგა დაცილ ება	ჯამი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	147	-	-	-	-	-	-	-	147
დაკავშირებული მხარეებიდან									
სხვა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	15,973	24	32	3,365	88	231	3,378	23,091
სადეპოზიტო სერთიფიკატი	14,034	-	-	-	-	-	-	-	14,034
გარანტიის ფარგლებში შეზღუდული ფული	761	-	-	-	-	-	-	-	761
მოკლევადიანი გარანტიის ფარგლებში შეზღუდული ფული	1,403	-	-	-	-	-	-	-	1,403
გრძელვადიანი სადეპოზიტო სერთიფიკატზე დარიცხული მისაღები პროცენტი	461	-	-	-	-	-	-	-	461
სესხის მომსახურების სარეზერვო საბანკო ანგარიში	2,359	-	-	-	-	-	-	-	2,359
საბანკო ანგარიშები მოთხოვნამდე	57,446	-	-	-	-	-	-	-	57,446
სულ ფინანსური აქტივები	76,611	15,973	24	32	3,365	88	231	3,378	99,702
გაუფასურების რეზერვები (სხვა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება)	-	1	-	8	47	58	1	3,285	3,400
ნეტო ფინანსური აქტივები	76,611	15,972	24	24	3,318	30	230	93	96,302

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	ბალანს ები მოთხო ვნამდე	30 დღემდ ე ვადაგა დაცილ ება	30-60 დღე ვადაგა დაცილ ება	60-90 დღე ვადაგა დაცილ ება	90-180 დღე ვადაგა დაცილ ება	180- 270 დღე ვადაგ ადაცი ლება	270 - 365 დღე ვადა გადა ცილე ბა	365 დღეზე მეტი ვადაგა დაცილ ება	ჯამი
2023 წლის 31 დეკემბერი									
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეებიდან	301	-	-	-	-	-	-	-	301
სხვა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	9,488	958	12	3,889	2,013	2	5,063	21,425
საბანკო ანგარიშები მოთხოვნამდე	70,943	-	-	-	-	-	-	-	70,943
სესხის მომსახურების სარეზერვო საბანკო ანგარიში	2,261	-	-	-	-	-	-	-	2,261
მისაღები გარანტიის დარიცხული პროცენტი	1,040	-	-	-	-	-	-	-	1,040
შეზღუდული საბანკო ნაშთები გრძელვადიანი	13,913	-	-	-	-	-	-	-	13,913
შეზღუდული საბანკო ნაშთები მოკლე ვადიანი	500	-	-	-	-	-	-	-	500
სულ ფინანსური აქტივები	88,958	9,488	958	12	3,889	2,013	2	5,063	110,383
გაუფასურების რეზერვები (სხვა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება)	-	5	9	1	380	295	2	4,918	5,610
ნეტო ფინანსური აქტივები	88,958	9,483	949	11	3,509	1,718	-	145	104,773

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	აშშ დოლარი ლარში	ევროში ლარში
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	3,460	16,376	3
სადეპოზიტო სერტიფიკატი	-	14,034	-
გარანტიის ფარგლებში შეზღუდული ფული მოკლევადიანი	761	-	-
გარანტიის ფარგლებში შეზღუდული ფული გრძელვადიანი	-	1,403	-
სადეპოზიტო სერტიფიკატზე დარიცხული მისაღები პროცენტი	-	461	-
სესხის მომსახურების სარეზერვო საბანკო ანგარიში	-	2,359	-
საბანკო ანგარიშები მოთხოვნამდე	6,555	50,609	282
სულ ფინანსური აქტივები	10,776	85,242	285
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	554	-	-
გრძელვადიანი სესხი	874	79,948	5,861
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	6,061	725	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,489	80,673	5,861
ნეტო პოზიცია	3,287	4,569	(5,576)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	აშშ დოლარი ლარში	ევროში ლარში
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7,853	8,260	3
სესხის მომსახურების სარეზერვო საბანკო ანგარიში	-	2,261	-
მისაღები გარანტიაზე დარიცხული პროცენტი	-	1,040	-
შეზღუდული საბანკო ნაშთები გრძელვადიანი	500	-	-
შეზღუდული საბანკო ნაშთები მოკლევადიანი	466	13,447	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7,532	53,082	10,329
სულ ფინანსური აქტივები	16,351	78,090	10,332
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	205	-	-
გრძელვადიანი სესხი	835	97,334	12,793
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	8,938	672	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,978	98,006	12,793
ნეტო პოზიცია	6,373	(19,916)	(2,461)

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31 დეკემბერი 2024 წ.		31 დეკემბერი 2023წ.	
	ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	914	-	(3,983)	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	(914)	-	3,983	-
ევროს გამყარება 20%-ით	(1,115)	-	(492)	-
ევროს დასუსტება 20%-ით	1,115	-	492	-

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის მიერ მიღებული სესხები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანია. ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი რისკი. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას.

ლიკვიდურობის რისკის ცხრილი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამოწურვამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნის თანავე და 1 წელზე ნაკლები	1 დან 3 წლამდე	3 დან 6 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება	247	254	201	-	702
გრძელვადიანი სესხი	13,287	23,554	32,440	39,719	109,000
სავაჭრო და სხვა	6,786	-	-	-	6,786
კრედიტორული დავალიანება					
სულ მომავალში გადასახდელები	20,320	23,808	32,641	39,719	116,488

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნის თანავე და 1 წელზე ნაკლები	1 დან 3 წლამდე	3 დან 6 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება	120	120	-	-	240
გრძელვადიანი სესხი	26,129	25,405	35,075	50,328	136,937
სავაჭრო და სხვა	9,610	-	-	-	9,610
კრედიტორული დავალიანება					
სულ მომავალში გადასახდელი	35,859	25,525	35,075	50,328	146,787

ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. ჯგუფი ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომლის უზრუნველყოფას ჯგუფი უმთავრესად გეგმავს საოპერაციო ფულადი ნაკადებით.

23. კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა, შესაძლოა, მოახდინოს დივიდენდების ოდენობის შემცირება, დაუბრუნოს ან გაზარდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. გარდა DFC აღებული სესხით განპირობებული მოთხოვნებისა და მათი შესრულების მიზნით რეაგირებისა კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია DFC აღებული სესხის შემდეგ კომპანია ექვემდებარება ამავე სესხით განსაზღვრულ გარეშე სუბიექტის რეგულაციას მოთხოვნებს კაპიტალზე დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 14.

24. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

25. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში.

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024 წლის 31 დეკემბერი	ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში
აქტივები	
-სავაჭრო მოთხოვნები	19,838
-სადეპოზიტო სერთიფიკატი	14,034
-შეზღუდული ნაღდი ფული გარანტიით მოკლევადიანი	761
-შეზღუდული ფულადი სახსრები გარანტიით გრძელვადიანი	1,403
- სადეპოზიტო სერთიფიკატზე დარიცხული მისაღები პროცენტი	461
-ვალის მომსახურების სარეზერვო ანგარიში	2359
-ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები	57,446
სულ ფინანსური აქტივები	96,302

2024 წლის 31 დეკემბერი	ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებებში
ფინანსური ვალდებულებები	
-იჯარა	554
-სესხები	86,683
-სავაჭრო გადასახდელები	6,786
სულ ფინანსური ვალდებულებები	94,023

2023 წლის 31 დეკემბერი	ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში
აქტივები	
-სავაჭრო მოთხოვნები	16,116
-ვალის მომსახურების სარეზერვო ანგარიში	2,261
-გარანტიით მისაღები პროცენტი	1,040
-შეზღუდული ნაღდი ფული გარანტიით მოკლევადიანი	13,913
-შეზღუდული ფულადი სახსრები გარანტიით გრძელვადიანი	500
-ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები	70,943
სულ ფინანსური აქტივები	104,773

2023 წლის 31 დეკემბერი	ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებებში
ფინანსური ვალდებულებები	
-იჯარა	205
-სესხები	110,962
-სავაჭრო გადასახდელები	9,610
სულ ფინანსური ვალდებულებები	120,777

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

26. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	წილის მფლობე- ლები	ასოცირებუ- ლი კომპანია	ერთობლივად კონტროლირებადი კომპანია	მენეჯმენტი
დებიტორული დავალიანება	-	20	127	-
კრედიტორული დავალიანება	-	-	(1,871)	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	-	186	-
მოკლევადიანი სესხი (ტრანსფორდი)	-	-	(450)	-
გადასახდელი პროცენტი მოკლევადიანი (ტრანსფორდი)	-	-	(424)	-
გადასახდელი დივიდენდები	(768)	-	-	-
საიჯარო ვალდებულება მოკლე ვადიანი	(108)	-	-	-
გაყიდვები და სხვა შემოსავალი	-	1,865	2,062	-
საიჯარო შემოსავალი	-	58	15,805	-
შესყიდვები	-	12	58,746	-
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	-	327	-
განაწილებული დივიდენდები	5,000	-	-	-
მიღებული დივიდენდები	-	2,471	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-	90	-
იჯარის პროცენტის ხარჯი	23	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – გადასახდელი ხელფასები	-	-	-	(38)
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ხარჯი)	967	-	-	460

შპს“პეის ჯორჯია” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

წილის მფლობე- ლები	ასოცირებუ- ლი კომპანია	ერთობლივად კონტროლირე ბადი კომპანია	არამაკონტრო- ლებელი წილის მფლობელები	მენეჯმ ენტი
დებიტორული დავალიანება	-	208	90	-
კრედიტორული დავალიანება	-	-	(4,910)	-
მიღებული ავანსები	-	-	(1)	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	-	370	-
გრძელვადიანი სესხი (ტრანსფორდი)	-	-	(450)	-
გადასახდელი პროცენტი	-	-	(385)	-
გრძელვადიანი (ტრანსფორდი)	-	-	-	-
გადასახდელი დივიდენდები	(284)	-	-	-
საიჯარო ვალდებულება მოკლე ვადიანი	(108)	-	-	-
საიჯარო ვალდებულება გრძელ ვადიანი	(97)	-	-	-
გაყიდვები და სხვა შემოსავალი	-	2,753	1,678	-
საიჯარო შემოსავალი	-	45	14,983	-
შესყიდვები	-	121	50,246	-
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	-	1,246	-
განაწილებული დივიდენდები	4,000	-	-	-
მიღებული დივიდენდები	-	4,970	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-	91	-
იჯარის პროცენტის ხარჯი	32	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – გადასახდელი ხელფასები	-	-	-	(13)
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ხარჯი)	927	-	-	403

27. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

იჯარა. 2016 წელს შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურმა“ გააფორმა სახელმწიფოსთან გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულება ჰიდროტექნიკურ ნაგებობაზე. ყოველწლიური სახდელი ამ ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 12.

სესხი DFC იდან. DFC იდან მიღებული სესხის ნაწილი მიღებული აქვს შპს „ტრანსფორდს“ (ჯგუფის ერთობლივად კონტროლირებად საწამოს) ამ სესხზე პასუხისმგებელია ასევე ჯგუფი შვილობილი კომპანია როგორც თანამსესხებელი. ჯგუფის მენეჯმენტი არ მოელის ამ ურთიერთობიდან გამომდინარე შპს „ტრანსფორდის“ მაგივრად და კომპენსაციის გარეშე რაიმე სახის ეკონომიური სარგებლის გასვლას რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღიარებული ანარიცხი. დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 14.

საინვესტიციო ვალდებულება. 2024 წლის სექტემბერში კომპანიას სახელმწიფოს მიერ და სიმბოლური 1 ლარის სანაცვლოდ მიენიჭა უფლება (აღნაგობის უფლება), რომ ააშენოს სპეციფიკური შენობა მის მიერ ოპერირებულ პორტთან მდებარე აკვატორიასთან მიმდებარე 5,236 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. შეთანხმება ძალაშია 49 წლის ვადით, განსაზღვრული გაგრძელების პირობებით. ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას აქვს ვალდებულება, რომ 36 თვის განმავლობაში განახორციელოს 5 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ამ მიწაზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ეს ტრანზაქცია ასახულია სიმბოლურ ღირებულებაზე 1 ლარად. დედა კომპანიამ სახელმწიფოსთან შესაბამისი შეთანხმების ფარგლებში გასცა 500,000 აშშ დოლარის გარანტია. დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 6.

28. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

სესხი - 2025 წლის მარტში ჯგუფმა მოახდინა DFC სესხის ნაწილის გადახდა ხელშეკრულების შესაბამისი გრაფიკის მიხედვით.

განაწილებული დივიდენდი. 2025 წელს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე ჯგუფის დედა კომპანიამ გამოაცხადა და გაანაწილა დივიდენდი 5,000 ლარის ოდენობით.

მიღებული დივიდენდი. 2025 წელს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე 1,807 ლარის ოდენობით დივიდენდი გამოაცხადა და გაანაწილა ასოცირებულ კომპანიამ შპს ზიმ ინთერგრეითიდ შიპინგ სერვის ჯორჯიამ.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 ივნისს, ჯგუფის დამფუძნებლებს/კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „პეის ჯორჯია“-ს

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

შპს“პეის ჯორჯიას” მართვლობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მმართველობითი ანგარიში

1. ჯგუფი, მისი დამუშნებლები და შვილობილი კომპანიები

შპს “პეის ჯორჯია” (კომპანია) დაარსდა 1993 წლის 23 აგვისტოს აგვისტოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 204413759), კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ტელეგრაფის ჩიხი №4.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

მფლობელის დასახელება	ფლობა 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	ფლობა 2023 წლის 31 დეკემბრისათვის
ირაკლი კერვალიშვილი (საქართველოს მოქალაქე, ID# 01008002113)	38 %	38 %
ლაურა ლარიონი (საქართველოს მოქალაქე, ID # 01009001424)	38 %	38 %
თეიმურაზ კერვალიშვილი (საქართველოს მოქალაქე, ID# 35001015358)	10 %	10 %
ირაკლი თათეიშვილი (საქართველოს მოქალაქე, ID # 01026000580)	10 %	10 %
თამაზ კაპანაძე (საქართველოს მოქალაქე, ID # 01009005253)	4 %	4 %

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	წილობრივი ფლობის %	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაცი-ის ქვეყანა
შპს ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგური (სახელის ცვლილებამდე შპს პეის ტერმინალი)	14/08/2015	14/08/2015	75%	ფოთის პორტის მახლობლად საწყობისა და პორტის ოპერირება	საქართველო
შპს პეის საზღვაო სააგენტო	24/09/2001	24/09/2001	100 %	გემების აგენტირება	საქართველო
შპს პეის ტრანსი	09/02/2016	09/02/2016	100 %	ტვირთვების გადაზიდვა	საქართველო
შპს სარფის საბაჟო ბროკერი	01/06/2001	01/06/2001	100 %	არაქტიური	საქართველო
შპს პეის ბათუმი	01/06/2001	01/06/2001	100 %	არაქტიური	საქართველო
შპს პეტრანსი	08/07/2008	08/07/2008	100 %	არაქტიური	საქართველო
შპს პორტლენდი	11/01/2011	15/07/2022	100 %	მიწის ნაკვეთის მფლობელი ფოთის პორტის მახლობლად	საქართველო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ ერთობლივად ფლობილ კომპანიებს:

კომპანიის დასახელება	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	წილობრივი ფლობის %	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაცი-ის ქვეყანა
შპს ტრანსფორდი	23/08/2010	23/08/2010	75%	ტვირთვების გადაზიდვის მომსახურება ფოთის პორტში	საქართველო

2017 დეკემბერში კომპანიამ გაზარდა თავისი წილი შპს ტრანსფორდში 50%-დან 75%-მდე. შპს ტრანსფორდის წესდებით კომპანიის დამფუძნებლებს აქვთ თანაბარი უფლებები კომპანიის მართვისას, რის გამოც შპს

შპს „პეის ჯორჯიას“ მართვლობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ტრანსფორდი არ არის განხილული როგორც კომპანიის შვილობილი კომპანია, არამედ როგორც ერთობლივად ფლობილი კომპანია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ტრანსფორდი ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	ფლობა	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს ბი ენდ პი	03/19/2003	12/15/2012	80 %	ფოთის ტერმინალების ტერიტორიაზე ჩატვირთვა/გადმოტვირთვა	საქართველო
შპს მეტალექს ტრანსი	02/24/2011	09/07/2011	52.5 %	ფოთის ტერმინალების ტერიტორიაზე ჩატვირთვა/გადმოტვირთვა	საქართველო
შპს მეტალექს +	06/01/2011	06/01/2011	52.5 %	არაქტიური	საქართველო
შპს ფოთის გემთსაშენი	02/10/2006	04/10/2013	100%	გემების მშენებლობა რემონტი/ არაქტიური	საქართველო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ მეკავშირე კომპანიებს:

კომპანიის დასახელება	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	ფლობა	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს ზიმ ინტერგრეტიდ შიფინგ სერვისის ჯორჯია	18/08/2007	18/08/2007	49 %	ტვირთების გადაზიდვის მომსახურება	საქართველო
შპს ჯორჯიან ფერი	25/06/2013	04/10/2013	30 %	არაქტიური	საქართველო

შვილობილი, ერთობლივად კონტროლირებადი და მეკავშირე კომპანიების ფინანსური დეტალები მოცემულია შპს პეის ჯორჯიას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ტრანსფორდის ჯგუფის მართვლობით და ფინანსური ანგარიშგებაში მოცემულია ამ ჯგუფის საქმიანობის დეტალები.

შპს „ზიმ ინტერგრეტიდ სერვისის ჯორჯია“ ეწევა საკონტეინერო გადაზიდვასთან დაკავშირებულ მომსახურებას. ფაქტიური მისამართია იჯარით აღებული ფართი ქ. თბილისში ტელეგრაფის ჩიხი N 4-ში. მისი ქონება მსუბუქი ავტომანქანა, საოფისე ინვენტარები და კომპიუტერული საშუალებები. ამ კომპანიის ოპერირების დეტალები და მისგან მიღებული დივიდენდები მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2. შემოსავლები

კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად ჯგუფი) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფორვარდირება, ტვირთების შენახვა, გადაზიდვა, ჩატვირთვა/გადმოტვირთვის მომსახურება, გემების სააგენტო მომსახურება, საპორტო მომსახურება.

შემოსავალი რეალიზაციიდან 2024 წელი:

	საქართველოში გაწეული მომსახურება
საქონლის და მომსახურების სახეები	
ფორვარდირება, ტვირთების შენახვის, ჩატვირთვა გადმოტვირთვის მომსახურება	124,055
გემების სააგენტო მომსახურება	1,727
შემოსავლები საპორტო ოპერაციებიდან	6,116
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	131,898
საქონლის და მომსახურების გადაცემის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	131,898
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	131,898

შემოსავალი რეალიზაციიდან 2023 წელი:

	საქართველოში გაწეული მომსახურება
საქონლის და მომსახურების სახეები	
ფორვარდირება, ტვირთების შენახვის, ჩატვირთვა გადმოტვირთვის მომსახურება	119,983
გემების სააგენტო მომსახურება	1,409
შემოსავლები საპორტო ოპერაციებიდან	6,570
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	127,962
საქონლის და მომსახურების გადაცემის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	127,962
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	127,962

საიჯარო შემოსავალმა 2024 და 2023 წლებში 17,372; 16,627 ლარი შეადგინა, რომელიც წარმოდგენილია სხვა შემოსავლის სახით სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

შპს „პეის ტრანსი“ ეწევა საექსპედიტორო მომსახურებას. მისი ფაქტიური მისამართია იჯარით აღებული ფარტი ქ. ფოთში გეგიძის N5-ში. მისი ქონება შემოიფარგლება საოფისე ინვენტარებით და კომპიუტერული სასუალებებით.

შპს პეის საზღვაო სააგენტო“ ეწევა გემების სააგენტო მომსახურებას. ფაქტიური მისამართია იჯარით აღებული ფართი ქ. ფოთში აღმაშენებლის N61-ში. მისი ქონებაა მსუბუქი ავტომანქანა, საოფისე ინვენტარები და კომპიუტერული საშუალებები.

შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგური“-ს საკუთრებაშია 195,066კვ.მ მიწის ფართობი და შენობა ნაგებობები ფოთის პორტის მიმდებარეთ. ტერიტორიის ნაწილი 88,893 კვ.მ კომპანიას გადაცემული აქვს იჯარით სატერმინალო მომსახურებისათვის, ნაწილზე მოწყობილია პორტი რომლისგანაც კომპანია იღებს საპორტო მომსახურებაში შემოსავლას.

შპს“პეის ჯორჯიას” მართვლობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები

	მიწა და შენობა გეგმები ი	პორტი და მიმდებარე სასაწყობო მეორეობის მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა	სახმელე თო და საზღვაო სატრანსპ ორტო საშუალებ ები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობეს ება	პორტის დაუმთავრებ ელი კაპ. დაზანდება	სხვა დაუმთავრებ ელი კაპ. დაზანდება	სულ
ისტორიული ღირებულება								
31.12.2022	1,141	66,440	4,976	13,074	132	102	661	86,526
შეძენა	-	6	1,208	1,713	-	896	-	3,823
კაპიტალიზებული სესხის ხარჯები								
რეკლასი	-	(1,294)	-	-	-	-	-	(1,294)
საინვესტიციო ქონებაზე								
რეკლასიფიკაცია	-	(496)	(578)	329	72	673	-	-
რეკლასიფიკაცია								
საინვესტიციო ქონებაზე	-	(61,293)	-	-	-	-	-	(61,293)
გასვლა	-	-	(1)	(1)	-	-	-	(2)
31.12.2023	1,141	3,363	5,605	15,115	204	1,671	661	27,760
შეძენა	-	244	217	3,906	-	3,391	-	7,758
გასვლა	-	-	(1)	(36)	-	-	-	(37)
რეკლასიფიკაცია								
საინვესტიციო ქონებაზე	-	(2,376)	-	-	-	-	(202)	(2,578)
31.12.2024	1,141	1,231	5,821	18,985	204	5,062	459	32,903
ცვეთა:								
31.12.2022	126	4,166	2,371	511	26	-	-	7,200
პერიოდის ცვეთა	11	-	373	549	9	-	-	942
რეკლასიფიკაცია								
საინვესტიციო ქონებაში	-	(4,047)	-	-	-	-	-	(4,047)
რეკლასიფიკაცია	-	(18)	18	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	(1)	-	-	-	-	(1)
31.12.2023	137	101	2,761	1,060	35	-	-	4,094
პერიოდის ცვეთა	11	7	494	1,044	9	-	-	1,565
გასვლა	-	-	(1)	(32)	-	-	-	(33)
31.12.2024	148	126	3,236	2,072	44	-	-	5,626
წმინდა საბალანსო ღირებულება:								
31.12.2022	1,015	62,274	2,605	12,563	106	102	661	79,326
31.12.2023	1,004	3,262	2,844	14,055	169	1,671	661	23,666
31.12.2024	993	1,105	2,585	16,913	160	5,062	459	27,277

4. საქმიანობის განვითარების გეგმები

კომპანიის შვილობილი კომპანიისა და ერთობლივად კონტროლირებადი კომპანიის გავითარების გეგმები და შესაბამისი სესხის ახსნა განმარტებითი შენიშვნა მოცემულია ფინანსურ ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 14 -ში. სხვა განვითარების გეგმები კომპანიას არ აქვს.

სხვა მნიშვნელოვანი განვითარების გეგმები ჯგუფს არ აქვს.

5. დასაქმებულთა რაოდენობა

ჯგუფში დასაქმებულია 300 თანამშრომელი.

6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა

ასეთი სახის კვლევა საწარმოში არ ჩატარებულა.

7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზი

ქვემოთ მოცემული ფინანსური რისკების ანალიზის გარდა ჯგუფში სხვა რისკების ანალიზი არ ჩატარებულა.

8. ინფორმაციას კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

9. ფინანსური რისკები

ჯგუფის ფინანსური რისკების და კაპიტალის მართვის პოლიტიკა მოცემულია ფინანსურ ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნა 22.

10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

ჯგუფში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ქონია.

11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

ჯგუფს კვლევები არ უწარმოებია.

12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივნისს.

ბნ. ირაკლი თათეიშვილი, გენერალური დირექტორი

7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზი

ქვემოთ მოცემული ფინანსური რისკების ანალიზის გარდა ჯგუფში სხვა რისკების ანალიზი არ ჩატარებულა.

8. ინფორმაციას კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

9. ფინანსური რისკები

ჯგუფის ფინანსური რისკების და კაპიტალის მართვის პოლიტიკა მოცემულია ფინანსურ ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 22.

10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

ჯგუფში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ქონია.

11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

ჯგუფს კვლევები არ უწარმოებია.

12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჰქირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივნისს.

ბნ. ირაკლი თათეიშვილი, გენერალური დირექტორი